23/01/2021

საეკლესიო კალენდარი: 23 იანვარი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 23 იანვარს წმინდა გრიგოლ ნოსელის, ღირსი დომენტიანეს, ღირსი მარკიანე ხუცის, ნეტარი თეოზვა დიაკონისას, და თეოფანე დაყუდებულის ხსენების დღეს აღნიშნავს.

წმიდა გრიგოლ ნოსელი

წმიდა გრიგოლ ნოსელი ბასილის კესარიელის ძმა იყო. გრიგოლ ნოსელმა, საოჯახო ტრადიციის მიხედვით, მიიღო როგორც ანტიკური, ისე ქრისტიანული განათლება.
370 წელს ბასილი დიდი კესარიის ეპისკოპოსად აკურთხეს, 372 წელს კი მან გრიგოლს დაასხა ხელი ნისის ანუ, ძველი ქართულით, ნოსიის ეპისკოპოსად. ამ დროს არიანელი ვალენტი (364-378) ზეობდა და იმპერიაშიც მწვალებლები მძლავრობდნენ. წმიდა გრიგოლი ძმასთან, ბასილი დიდთან ერთად ერთგულად იცავდა მართლმადიდებლობას, რისთვისაც სასტიკ დევნასა და შევიწროებას განიცდიდა.

376 წელს მას ცილი დასწამეს საეკლესიო ქონების გაფლანგვაში, გადააყენეს ეპისკოპოსობიდან და ანკირიაში გადაასახლეს, მომდევნო წელს არიანელ

ეპისკოპოსთა კრებამ კვლავ დაგმო იგი, მაგრამ წმიდა გრიგოლი სულით მაინც არ ტყდებოდა და შორიდან განამტკიცებდა თავის სამწყსოს. ეს წლები მისი სულიერი აღმაფრენის ჟამი იყო. ამ ხანებში შექმნა მან ქრისტიანული მისტიკის ურჩეულესი ძეგლები „ცხოვრება მოსესი" და „განმარტება ქება ქებათასი".
ვალენტის (378) სიკვდილის შემდეგ გრიგოლი დააბრუნეს თავის კათედრაზე.

379 წელს მან მონაწილეობა მიიღო ანტიოქიის საეკლესიო კრების მუშაობაში და დაგმო ერესები, რომელთა ნაწილი ღვთისმშობლის ქალწულებას უარყოფდა, ნაწილი კი ღვთაებად აღიარებდა მას.

381 წელს წმიდა გრიგოლ ნოსელი ერთ-ერთი უმთავრესი ძალა იყო კონსტანტინეპოლში გამართულ II მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელმაც საბოლოოდ დაგმო არიოზის მწვალებლობისგან აღმოცენებული ყველა ერესი. ამ კრებაზე წმიდა გრიგოლის ინიციატივით, დამატება შეიტანეს ნიკეის რწმენის სიმბოლოში. სხვა ეპისკოპოსებთან ერთად, გრიგოლ ნოსელმაც კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსად დაადგინა გრიგოლ ღვთისმეტყველი.

394 წელს წმიდანი მონაწილეობს კონსტანტინეპოლის ადგილობრივი კრების მუშაობაში, რომელიც მოწვეულ იქნა არაბეთში საეკლესიო საკითხების მოსაგვარებლად. ამ კრების შემდეგ დიდი ხანი არ იყო გასული, რომ ღრმად მოხუცებული გრიგოლ ნოსელი მშვიდობით მიიცვალა.

ნეტარი თეოზვა დიაკონისა

ნეტარი თეოზვა დიაკონისა ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის და პეტრე სებასტიელის და იყო. წმიდა ქალწული დიაკონისად მსახურობდა ტაძარში, სნეულებს უვლიდა, მწირებს აპურებდა, ობლებს ზრდიდა, ქალებს ნათლობის საიდუმლოსთვის ამზადებდა. იგი მთელი სამი წლის მანძილზე თან ახლდა გადასახლებაში თავის ძმას, წმიდა გრიგოლ ნოსელს და იზიარებდა მის მძიმე ხვედრს. წმიდა თეოზვა გარდაიცვალა 385 წელს.

ღირსი დომენტიანე – მელიტინელი ეპისკოპოსი

ღირსი დომენტიანე, მელიტინელი ეპისკოპოსი VI საუკუნეში ცხოვრობდა, იმპერატორ იუსტინე უმცროსის დროს. იგი ადრე დაქვრივდა, მონაზვნობა შეიმოსა და წმიდა თავშეკავებული ცხოვრებით ცხოვრობდა. 30 წლის იყო წმიდანი, როცა ქალაქ მელიტინის ეპისკოპოსად აირჩიეს. მართლმადიდებლობის მხურვალე დამცველს და სამწყსოს მოსიყვარულე მღვდელმთავარს სახელმწიფოებრივი დავალებებით ხშირად

გზავნიდნენ სპარსეთში. საყოველთაო სითბოთი გარემოცული დომენტიანე ხშირად ღებულობდა მდიდრულ საჩუქრებს, მაგრამ მათ გლახაკებსა და უპოვრებს უნაწილებდა. ღვთის ნებით, წმიდანი სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგ აღსრულებული მრავალი სასწაულით გაბრწყინდა.

ღირსი მარკიანე პრესვიტერი

ღირსი მარკიანე – კონსტანტინეპოლის დიდი ტაძრის პრესვიტერი და იკონომოსი რომში დაიბადა, დაწყებითი განათლება კი კონსტანტინეპოლში მიიღო. მშობლების სიკვდილის შემდეგ დარჩენილი მდიდარი მემკვიდრეობა ღირსმა მამამ ტაძრების მშენებლობას, აღორძინებასა და შემკობას მოახმარა. მან ააგო და მდიდრულად მორთო წმიდა მოწამე ანასტასიის სახელობის ეკლესია და აქ გადმოასვენა წმიდანის უხრწნელი ნაწილები, ააშენა წმიდა მოწამე ირინეს ტაძარი. თავისი ზნეობრივი სიწმიდით და მკაცრი ასკეტური ცხოვრებით ღირსმა მარკიანემ პარტიარქის ყურადღება მიიქცია, რომელმაც პრესვიტერად აკურთხა და კონსტანტინეპოლის დიდი საპარტიარქო ტაძრის იკონომოსად დანიშნა იგი.
ღირსი მაკრიანე გარდაიცვალა 472-474 წლებში.

წმიდა თეოფანე დაყუდებული

წმიდა თეოფანე დაყუდებული (ერობაში გიორგი ვასილის ძე გოვოროვი) ირლოვის გუბერნიის სოფელ ჩერნავსკში დაიბადა 1815 წლის 10 იანვარს.

მან დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, შემდეგ კი, 1823 წელს, ლივენის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. გულისხმიერებით გამორჩეულმა ბავშვმა, ღვთის შეწევნით, ადვილად დასძლია სასწავლებლის კურსი, ასევე წარმატებით დაასრულა მან ჯერ ირლოვის სემინარია, შემდეგ კი – კიევის სასულიერო აკადემია. განმარტოებისაკენ მიდრეკილ გიორგის კიევო-პეჩორის ლავრის ბერებთან და სხვა მოსაგრეებთან ურთიერთობამ მონაზვნობის სურვილი აღუძრა. 1841 წლის 15 თებერვალს აკადემიაში სწავლის ბოლო წელს, მონაზვნობა შეიმოსა თეოფანეს (რაც „ღვთის განცხადებას“ ნიშნავს) სახელით. იმავე წლის 6 აპრილს თეოფანე კიევო-პეჩორის ლავრის მიძინების ტაძარში მღვდელმონაზვნად აკურთხეს.

წმიდანმა ხანგრძლივი და ნაყოფიერი ცხოვრების გზა განვლო: იგი მოღვაწეობდა კიევო-სოფიის სასულიერო სასწავლებელში, ნოვგოროდისა და ოლონეცკის სასულიერო აკადემიაში, მსახურობდა იერუსალიმში რუსეთის სასულიერო მისიაში და კონსტანტინეპოლის საელჩო ტაძარში; 1859 წლის 9 მაისს ღირს მამას

მღვდელმთავრად დაასხეს ხელი და ტამბოვისა და შაკის კათედრაზე გაამწესეს, შემდეგ კი – ვლადიმირის ეპარქიაში გადაიყვანეს. მადლმოსილი მღვდელმთავარი სიტყვით არწყულებდა ადამიანთა უდაბნოდ ქცეულ სულებს. წმიდა მამის ქადაგებები ისე იპყრობდა მსმენელთა ყურადღებას, რომ მთელ ტაძარში საოცარი სიჩუმე ისადგურებდა და მისი სუსტი ხმა ეკლესიის ყველაზე მივარდნილ კუთხეშიც კი კარგად ისმოდა.

წმიდა თეოფანე აღადგენდა ტაძრებს, ზრუნავდა დაბალი ფენების განათლებაზე, ხსნიდა სამრევლო სკოლებს, ეხმარებოდა უმწეოებს და გაჭირვებულებს.

1872 წელს, პასექის შემდეგ, ეპისკოპოსმა თეოფანემ მთელი ქონება გლახაკებს დაურიგა და დაყუდებული ცხოვრება დაიწყო. წმინდანი მიიცვალა 1894 წელს.

მასალა მომზადებულია ღია წყაროებზე დაყრდნობით.

— sputnik-georgia.com